ხელშეკრულება № 269
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. ბათუმი 05 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის სოსო სტურუას სახით და მეორეს მხრივ შპს „ინტელკომ ჯგუფი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ნოზაძის სახით, შემდგომში – „მიმწოდებელი“ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელ-შეკრულებას დებენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს შემ-სყიდველს ფასების ცხრილის შესაბამისი საქონელი (CPV 31711423 - მიკროტალღური რადიომოწყობილობები), ხოლო შემსყიდველი თანახმაა მიიღოს აღნიშნული საქონელი და გადაუხადოს მიმწოდებელს თანხა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 482 (ოთხას ოთხმოცდაორი) ლარს, რომელშიც შედის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.

1.3. საქონლის ერთეულისა და საერთო ფასი განისაზღვრება ასევე სათანადო დოკუმ-ენტაციის (ზედნადები, ან ანგარიშ-ფაქტურა) მეშვეობით.

2 მიღება – ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, ან სათანადო სხვა დოკუმენტის (ზედნადები, ან ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენის შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეები. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია მაუწყებლის სტუდიების და მსს-ის უფროსი ბესიკ ღლონტი.

2.3 საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის, ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხის საქონელი.

3. ანგარიშსწორების ფორმა

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება შემსყიდველისათვის სათანადო სასაქონლო ზედნადების ანდა ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 7 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში.

4 მხარეთა უფლება –მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს საქონლის ხარისხში და/ან მოწოდების პირობებში ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დ) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

4.2 შემსყიდველი ღებულობს ვალდებულებას:

ა) აწარმოოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას;

ა) მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხრას, საქონლის ხარისხში და/ან მიწოდების პირობებში გამოვლენილი ნაკლი ან ხარვეზი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება საქონლის მიწოდებისა-თვის, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად.

4.5. მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, მოწესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი ნორმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

5.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკ-რულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკ-რულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.4. საჭიროების შემთხვევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გადასინჯულ იქნეს როგორც ხელშეკრულების პირობები, ასევე ხელშეკრულების ფასებიც.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდისათვის, ყოველ ვადაგა-დაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

10.2 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფ-ლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხის-მგებლობისაგან.

10.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.7 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულა-ხავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშ-ირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შეს-რულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკ-რულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემს-ყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13 გამოყენებული სამართალი

13.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (სოსო სტურუა) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

15. გადასახადები და ბაჟები

15.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და მოსაკრებლების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობა

16.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის სტუდიების და მსს-ის უფროსი ბესიკ ღლონტი.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო

ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამ. # 41

ს/ნ 245675880

დირექტორი

_____

სოსო სტურუა

მიმწოდებელი

შპს „ინტელკომ ჯგუფი"

საიდენტიფიკაციო კოდი 202441189
მის: ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონში, დიღმის მასივი, V კვ., კორ. №9,
ბ.№71
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE76TB7037936020100003

დირექტორი

ირაკლი ნოზაძე